

**2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის საკონსულტაციო შეხვედრაზე
დასმული კითხვები**

1. შეიძლება თუ არა საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქე იყოს თანაორგანიზატორი ან დამხმარე პერსონალი? თუ პასუხი დადებითია, მაშინ შეიძლება თუ არა რომ მათ მივცეთ ანაზღაურება?
პასუხი: საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქე არ შეიძლება იყოს პროექტის ხელმძღვანელი, მაგრამ შესაძლებელია იყოს კონფერენციის ორგანიზატორთა სიაში ან დამხმარე პერსონალში შესაბამისი ანაზღაურებით.
2. თუ ანაზღაურდება უცხოელი მეცნიერის მგზავრობის ხარჯები, კერძოდ საქართველოში ვიზიტის ხარჯები, მაგალითად თვითმფრინავის ბილეთი?
პასუხი: დიახ, აუნაზღაურდება
3. თუ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრების რაოდენობა აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს? მაშინ როგორ ვიქცევით?
პასუხი: თუ თანხა არ იქნა საკმარისი ყველა სტუმრისათვის, მაშინ ზოგიერთი სტუმარი უნდა ჩამოვიდეს თავისი ხარჯებით, ან უნდა მოიძიოთ თანადაფინანსება.
4. შეიძლება თუ არ დამხმარე პერსონალი იყოს მაგისტრანტი?
პასუხი: შეიძლება
5. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს თანადაფინანსებად კონფერენციისათვის დარბაზის უფასოდ დათმობა? (აქ იგულისხმება ფიზიკური პირის შემთხვევა)
პასუხი: არ ჩაითვლება
6. შეიძლება თუ არა ექსკურსიის მოწყობა?
პასუხი: არ შეიძლება, თუ ექსკურსია არის სოციალური/გასართობი პროგრამის ნაწილი უცხოელი კოლეგებისათვის.
7. 5% შეზღუდვაში შედის თუ არა დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება?
პასუხი: არა, 5%-იანი შეზღუდვა ეხება მხოლოდ კონფერენციის ორგანიზატორთა ანაზღაურებას.
8. ბეჭედის გარეშე შეიძლება თუ არა იყოს წარმოდგენილი ესა თუ ის საბუთი?

პასუხი: თუ საბუთი არის წარმოდგენილი სატიტულო ქაღალდზე, მაშინ ბეჭედი არ არის საჭირო.

9. თუ მორჩა რაღაც თანხა, რა ხდება ასეთ შემთხვევაში?

პასუხი: პროექტის დასრულებისა და ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, განხილვის აქტის საფუძველზე აუთვისებელი თანხა დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.

10. თუ კონფერენციის ფარგლებში ვიწვევთ მეცნიერს/მეცნიერებს, უნდა გადავუხადოთ თუ არა მათ ჰონორარი?

პასუხი: თქვენ შეგიძლიათ აღნიშნული მეცნიერი/მეცნიერები შეიყვანოთ კონკურსის ორგანიზატორთა ან დამხმარე პერსონალის სიაში, ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ გადაუხადოთ ჰონორარი.

11. დამხმარე პერსონალის სახელი და გვარი მივუთითოთ თუ არა?

პასუხი: დიახ, უნდა მიუთითოთ.

12. შეიძლება თუ არა, რომ კონფერენციის ფარგლებში ჩავრთოთ დამატებით სხვა ორგანიზაციები?

პასუხი:

ა) თანაორგანიზატორის სახით შეიძლება, ჩართოთ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, და/ ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მაგრამ კონკურსში აღნიშნული ორგანიზაცია ვერ იქნება წარმდგენი/გრანტის მიმღები ორგანიზაცია.

ბ) შეგიძლიათ ჩართოთ მარდამჭერად ფინანსური თვალსაზრისით როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, და/ ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ ბიუჯეტზე დამატებით დააფინანსებს კონფერენციის ორგანიზების ცალკეულ მოთხოვნებს. აღნიშნულ ორგანიზაციას ექნება თანადამფინანსებლის სტატუსი და კონკურსში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი ზუსტი თანხის მითითებით.

13. რეგიონალურ კონფერენციაში მოიაზრება თუ არა კონფერენცია საქართველოს შიდა რეგიონალური მასშტაბით?

პასუხი: არა

14. კონფერენციის ფარგლებში ბეჭდვითი მასალების გამოცემა ფინანსდება თუ არა?

პასუხი: დიახ

15. ბიუჯეტის პუნქტებს შორის ცვლილების განხორციელება შესაძლებელია თუ არა?

პასუხი: შესაძლებელია, ცვლილების აუცილებლობის დასაბუთების შემთხვევაში. დეტალები გაიწერება საგრანტო ხელშეკრულებაში.

16. ობიექტური მიზეზებისა და გამო, კონფერენციის ბიუჯეტის ცვლილება შეიძლება თუ არა?

პასუხი: შესაძლებელია ცვლილების აუცილებლობის დასაბუთების შემთხვევაში. დეტალები გაიწერება საგრანტო ხელშეკრულებაში.

17. თუ არის შესაძლებელი უცხოური გრანტის ფარგლებში არსებული თანხა გამოვიყენოთ საკონფერენციო გრანტში როგორც თანადაფინანსება?

პასუხი: თქვენ უნდა წარმოადგინოთ თანადაფინანსებლის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული წერილი ან განცხადება თვითდაფინანსების შესახებ.

18. შეიძლება, თუ არა მონაწილეთათვის დავაწესოთ საკონფერენციო რეგისტრაციის გადასახადი?

პასუხი: შეიძლება. შემოსული თანხა შეგიძლიათ აჩვენოთ თანადაფინანსებაში/თვითდაფინანსებაში და უნდა მოხმარდეს კონფერენციის ორგანიზებას.